



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 285  
01/02/2018

ქალაქი ბათუმი

285-05-4-201802011215



**ქეთევან დევამეზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის I რანგის ხელმძღვანელზე 2017 წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან გამოუყენებელი 9 სამუშაო დღის, მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 9 სამუშაო დღის მიცემისა და მადონა დავითაძეზე სამსახურის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის დაკისრების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი, მე-3-ე, მე-4 პუნქტების, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 26 დეკემბრის №2711 ბრძანებისა და ქეთევან დევამის 2018 წლის 26 იანვრის №247-05 განცხადების საფუძველზე ვბრძანებ:

1. ქეთევან დევამეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის I რანგის ხელმძღვანელს, მიეცეს 2017 წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან გამოუყენებელი 9 სამუშაო დღე და მიმდინარე 2018 წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 9 სამუშაო დღე, 2018 წლის 05 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით.

2. მადონა დავითაძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების II რანგის უფროსს დაეკისროს ამავე სამსახურის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შესრულება, ამავე თანამდებობაზე მომუშავე ქეთევან დევამის ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდით, 2018 წლის 05 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს საშვებულებო თანხის ანაზღაურება (ავანსის სახით) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა